ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№_____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2019 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტში 2018-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების
საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ნოემბრის №322
განკარგულებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2018- 2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 8 ნოემბრის №322 განკარგულებაში, კერძოდ:

1. განკარგულების დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

***მუხლი* 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

***მუხლი* 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ჭიღვარია

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი